სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

2 დეკემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 213

სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 მარტის N85/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 29 სექტემბრის N147 ბრძანებით დამტკიცებული დანართი ერთის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2025 წლის 1 დეკემბრის N1700489 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:
   ა) შიფრი - SPF-25-087;
   ბ) შიფრი - SPF-25-425;
2. გამარჯვებული პროექტის ავტორებმა არაუგვიანეს 2025 წლის 8 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) ფიზიკური პირის (პროექტის ხელმძღვანელის/პროდიუსერის) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტი - ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ პროექტის ხელმძღვანელს/პროდიუსერს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში (2025 წლის მდგომარეობით).

გ) თაწადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება 2025 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით;
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი